ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 22 სექტემბერი, 2016 №225 (7151) ფასი: 50 თეთრი



„საქართველოში ჩადებულია ბომბი, რომლის პულტიც სააკაშვილს უჭირავს“

გვ.2

## მირიან მირიანაშვილი: „ახალი კოაბიტაცია არ უნდა დავუშვათ“

22 სექტემბრიდან

საქართველოს გეოგრაფიული ატლასი




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

# ირაკლი ოქრუაშვილი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი გახდა?

გვ.3



„თქვენს საქციელს რა ჰქვია, ვირო, მადლი ......?“

## რესპუბლიკელები ბათუმში თურქული სკოლის დახურვას ითხოვენ

გვ.4



„რატომ არ იყვნენ საქმის კურსში საქართველოს ან აჭარის განათლების სამინისტროს წარმომადგენლები? მეზობელი სახელმწიფო, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს აჭარა, ხსნის სკოლას და ამის შესახებ ყველა დუმს! ეს არის იდეოლოგიური ექსპანსია!“



გვ.2



## გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ პრობლემა შეექმნება, თუ ბარიერს, ნაციონალების გარდა, ვერავინ გადალახავს“

„რევოლუციას ყოველთვის ხელისუფლება უწყობს საკუთარ თავს იმით, რომ ხალხი უკმაყოფილო ჰყავს. თუ ნაციონალურ მოძრაობას სოციალური საყრდენი ხალხის სახით არ ექოლება, რაც არ უნდა დაგეგმოს, მაინც არაფერი არ გამოუვა“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## სოფიო ხორგუანი: „დაჯექი, ნიკა გვარამია, ორიანი!“

გვ.3

„მე ყოველთვის ჟურნალისტების მხარეს ვარ, რადგან მათი ვალია, ნებისმიერ ფასად მოიძიონ ინფორმაცია, არაეთიკურ გზებს მიმართონ და საზოგადოებას მიაწოდონ“

„ამ ჩანაწერით ოთარ დანელიამ მოიგო“





## საბავშვო პოეტს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება

გვ.3

# გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ პრობლემა შეექმნება, თუ ბარიერს, ნაციონალების გარდა, ვერავინ გადალახავს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არჩევნების შემდეგ მოვლენების განვითარების ორი სცენარი არსებობს. ერთი შედარებით უფრო მწვავეა, მეორე – ნაკლებად.



***– ბატონო გია, პრემიერმა საარჩევნო მემორანდუმზე ხელმოწერა შესთავაზა პარტიებს. რამდენად იმუშავებს ეს მემორანდუმი?***

– ეს არ არის პრემიერის ნოუჰაუ. ყველა არჩევნების წინ ყველა ხელისუფლება მშვიდობის მტრედად მოგვევლინებოდა ხოლმე და ასეთ მემორანდუმებს აფორმებდა, მაგრამ მაშინვე ეს მემორანდუმი ფარატინა ქაღალდად იქცეოდა. შესაბამისად, ეს მემორანდუმი შედგება, ხელი მოეწერება თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მოსახდენი მაინც მოხდება.

***– რას ელოდებით თქვენ, რამდენად რეალურია დესტაბილიზაცია, არეულობა, რომელზეც საუბრობს ხელისუფლება?***

– არაფერს გამოვრიცხავ. შეიძლება ვიღაც რაღაცას გეგმავდეს, მათ შორის ნაციონალური მოძრაობაც, მაგრამ ხელისუფლებას მინდა ვუთხრა: ნაციონალური მოძრაობა რასაც უნდა გეგმავდეს, თუ პროტესტს და კრიზისს არ აქვს შესაბამისი ბაზა, ხალხში მხარდაჭერა, ვერც ერთი პარტია ხელოვნური კრიზისის ინიცირებას ვერ მოახდენს.

ამის კლასიკური მაგალითია თურქეთში ამ ზაფხულს განვითარებული მოვლენები. მთელი სამხედრო ელიტა გამოვიდა – ჯარიც, ტანკებიც, თვითმფრინავებიც, ყველაფერი ჰყავდათ, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალება ვერ შეძლეს იმ ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ ხალხში არ ჰქონდათ მხარდაჭერა.

***– დღეს რა განწყობაა ხალხში?***

– კრიზისის მამოძრავებელი ძალა არის ხალხში დაგროვილი პროტესტი. პოლიტიკურ ძალებს ამ პროტესტისთვის მხოლოდ მიმართულების მიცემა შეუძლიათ. არც ერთი პოლიტიკური პარტია რევოლუციას არ აწყობს. რევოლუციას ყოველთვის ხელისუფლება უწყობს საკუთარ თავს იმით, რომ ხალხი უკმაყოფილო ჰყავს. თუ ნაციონალურ მოძრაობას სოციალური საყრდენი ხალხის სახით არ ეყოლება, რაც არ უნდა დაგეგმოს, მაინც არაფერი არ გამოუვა. შესაბამისად, ხელისუფლების მხრიდან მგელი მოდის ყვირილი კი არ არის პრევენცია, უკმაყოფილო ხალხის გულისკენ მიმავალი გზა იპოვოს როგორმე და მათი პრობლემები გადაწყვიტოს, ეს იქნებოდა პრევენცია. კრიზისის პრევენცია მათ საქმიანობაშია ჩადებული და არა – შეთქმულების თეორიის ძიებაში.

***– არჩევნებში ყველა გამარჯვებული ვერ იქნება. გამორიცხავთ, რომ არჩევნების შედეგებზე განაწყენებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ვინაიდან ამბობს, რომ სწორედ ის იმარჯვებს, გარკვეული ინიციატივები გამოიჩინოს ამ მიმართულებით?***

– არა, არაფერს გამოვრიცხავ. არ გამოვრიცხავ ნაციონალური მოძრაობის სურვილს, რომ არეულობა მოაწყოს, მაგრამ ეს მხოლოდ პარტიების სურვილზე და დალაგებულ გეგმებზე არ არის დამოკიდებული. თუ ადამიანების უმრავლესობამ ამ პროტესტს მხარი არ დაუჭირა, ეს ჩვეულებრივ ჩაივლის.

აქ კიდევ ერთი მომენტია. ეს პროტესტი თუ გაუჩნდა არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს, არამედ, მაგალითად, პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერებს, არჩევნებისადმი ნიჰილისტურად განწყობილ მოსახლეობასაც, სხვა პარტიების მხარდამჭერებსაც, მაშინ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეექმნება. ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ დაგეგმა, არამედ უკმაყოფილოთა მასა ქვეყანაში კრიტიკულ ზღვარს გადალახავს. ამ უკმაყოფილებას რომელი პოლიტიკური ძალები ჩაუდგებიან სათავეში, ამას უკვე მნიშვნელობა არ ექნება.




ხელისუფლების პრობლემა ნაციონალური მოძრაობა კი არ არის, მათი პრობლემა საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც აგრესიულად განწყობილ საზოგადოებად ჩამოყალიბდა. ამ უკმაყოფილებამ თუ კრიტიკული ზღვარი გადალახა, მაშინ თავის თავს უნდა დააბრალოს ხელისუფლებამ ყველაფერი და არა – ნაციონალურ მოძრაობას. 2003 წელს რევოლუცია იმიტომ კი არ მოხდა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მოაწყო. რევოლუციური სიტუაცია მოაწყო ხელისუფლებამ, კრიტიკული ზღვარი გადალახა და ნაციონალურმა მოძრაობამ მოახერხა, რომ ამ პროტესტს სათავეში ჩასდგომოდა. რევოლუციის მიზეზი ყოველთვის ხელისუფლების უგუნურება ხდება და არა – რომელიმე ოპოზიციური ძალა.

***– ხელისუფლებას რამდენად აქვს დღეს მზაობა, რომ მშვიდ გარემოში ჩაატაროს არჩევნები? ყველა წესით, ხელისუფლებას აწყობს მშვიდობიანი არჩევნები და წინასაარჩევნო გარემო.***

– რა თქმა უნდა, ხელისუფლებას არათუ მზაობა აქვს, ძალიან მოწადინებულია, რომ მშვიდობით ჩაატაროს, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე არჩევნები, მაგრამ ეს ისევ მის შნოსა და ეფექტურ მუშაობაზეა დამოკიდებული.

მე ხელისუფლების სურვილებში ეჭვი ნაკლებად მეპარება. თუმცა, ხელისუფლებაშიც არიან ვიღაცები, რომლებიც მზად არიან, რომ ხელმრუდობით მიაღწიონ შედეგს. ამ „ვიღაცებში“ კვირიკაშვილს არ ვგულისხმობ. მთლიანობაში ხელისუფლებას ნამდვილად აქვს სურვილი, რომ არჩევნები შესაფერის, მშვიდ გარემოში ჩაატაროს, მაგრამ რამდენად უზრუნველყოფს ამას, ამაში ეჭვი მეპარება.

***– რატომ?***

– დეპოლიტიზირებული ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრი, ასეთი განცხადებებით არ უნდა საუბრობდეს. პოლიტიკური პრევენცია არ არის შს მინისტრის საქმე, ეს არის პოლიტიკოსების საქმე. შს მინისტრი როდესაც შეთქმულებაზე საუბრობს, იმ დროს შსს ამ შეთქმულების მონაწილეს უნდა იჭერდეს. თუ ამას არ აკეთებს, მაშინ მინისტრის სიტყვა ფასს კარგავს. ზუსტად ასე გახდა თავის დროზე აბუჩად ასაგდები ჭიკაიძე. ვთხოვდი მღებრიშვილს, რომელიც სიმპათიურად გამოიყურება, იმ დონეზე ნუ დავა.

***– ბატონო გია, არჩევნების შემდეგ უფრო არის მოსალოდნელი სიტუაციის დაძაბვა თუ ეს არის დამოკიდებული იმაზე, რომელი ძალები იქნებიან გამარჯვებულები?***

– ორი ნეგატიური სცენარი არსებობს: ერთი, რასაც გვიკიჟინებენ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“, რომ ისინი არიან განუმეორებლები და ერთადერთები. თუ ამ სცენარით განვითარდება მოვლენები და ამ ორი პოლიტიკური ძალის გარდა ვერც ერთი გადალახავს ბარიერს და ვერ შევა პარლამენტში, მაშინ ეს იქნება ყველაზე ცუდი სცენარი და საფრთხე „ქართული ოცნებისთვის“.

***– რატომ?***

– პროპორციები 60-40-ზე დაჯდება, თითქოს არაფერი უნდა ადარდებდეს „ქართულ ოცნებას“, რადგან ხელისუფლებაში რჩება, მაგრამ ეს ნამდვილად არ უნდა აწყობდეთ მას. ასეთ შემთხვევაში ძალიან მაღალი ალბათობით, ნაციონალური მოძრაობა არ დაეთანხმება არჩევნების შედეგებს, გამოაცხადებს, რომ გაყალბდა შედეგები და მას ყველა გარეთ დარჩენილი პარტია მხარს აუბამს. მივიღებთ კრიზისს, რომელშიც მთელი პოლიტიკური სპექტრი მიიღებს მონაწილეობას და „ქართული ოცნება“ მარტო დარჩება.

ძალიან მაინტერესებს, „ქართულ ოცნებას“ ამ კრიზისის გადალახვის რა შნო გააჩნია. ჩემი ვარაუდით, არ გააჩნია. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ყველაზე ცუდი სცენარი.

***– მეორე სცენარი როგორია?***

– მეორე არის შედარებით რბილი სცენარი, როდესაც ბარიერს 5-6 პარტია გადალახავს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არის ასეთი ტიპის კრიზისის ფორმირება მოსალოდნელი თუ აქტივობა იქნება დაბალი და საზოგადოებაში არ იქნება განცდა, რომ ეს ხელისუფლება, რომელიც გაიმარჯვებს, მისი არჩეულია.

ასევე, მაჟორიტარულ ოლქებში ბევრგან მეორე ტური არის მოსალოდნელი, შესაბამისად, ორი კვირის განმავლობაში ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია იქნება. მე არ მინდა პროცესების დრამატიზირება, მაგრამ ვიცი ჩვენი ხელისუფლების სიმყიფე და გვაქვს მაგალითები, როდესაც ხელისუფლებას კრიზისების მართვა გაუჭირდა. მეშინია, რომ მან ფატალური შეცდომა არ დაუშვას და ამას არ მოჰყვეს სერიოზული პრობლემები.

# მირიან მირიანაშვილი: „ახალი კოაბიტაცია არ უნდა დავუშვათ“

მარიამ მჭედლიშვილი

პროკურატურის მიერ გასაჯაროებულმა ახალმა გარემოებებმა 26 მაისის საქმეზე ისევ აქტუალური გახდა სამართლიანობის აღდგენის თემა. საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს მიზეზებზე, რომლებმაც ხელი შეუშალეს სამართლიანობის დამკვიდრებას და სააკაშვილის მმართველობისას ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას.

**მირიან მირიანაშვილი:**

– სამართლიანობა ვერ აღდგებოდა 2 მიზეზის გამო. პირველი – ესაა ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში ჩანერგილი სააკაშვილისგან მართული ხალხი და მეორე – ესაა პოლიტიკური საბოტაჟი. ორივე მიზეზი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. „ქართულ ოცნებაში“ ახალი სახეები მოჰყავთ. ეს არის შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიების მცდელობა. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს გათავისუფლებას სააკაშვილის აგენტურისაგან.

***– ანუ, პოლიტიკურ პროცესებს, ფაქტობრივად, ისევ სააკაშვილი მართავდა ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც?***

– ეს სწორედ ასეა. დღესაც სააკაშვილი რჩება მოთამაშედ პოლიტიკურ ასპარეზზე. ამას ის ახერხებს სხვა პარტიებში მყოფი ადამიანების მეშვეობით. არავისთვის არაა დასამალი, რომ სააკაშვილმა კომპრომატების შეგროვება პოლიტიკოსებზე დიდი ხნის წინ დაიწყო. კომპრომატები მან საკუთარ გარემოცვაზეც მოაგროვა.

2008-2009 წლებიდან მან შეტევის ობიექტად სხვებიც აქცია. მაშინ სააკაშვილი პოლიტიკოსებს აღარ დასჯერდა და გავლენა გაავრცელა სხვა ცნობილ ადამიანებზე, რომლებიც, შესაძლოა, მომავალში პოლიტიკაში მოსულიყვნენ. იმ პერიოდში მან კომპრომატებზე დასვა ამა თუ იმ სფეროში მყოფი საზოგადო მოღვაწეები და ბიზნესმენები. დიდი ალბათობით, აქ მოხვდებოდნენ ქართუ ჯგუფში დასაქმებული პირებიც.

ასეთი ადამიანების რაოდენობა 5.000-მდე ავიდა. როცა სააკაშვილთან დავიწყე დავა პარტიის თაობაზე და



## „საქართველოში ჩადებულია ბომბი, რომლის პულტიც სააკაშვილს უჭირავს“

როცა ის სერიოზულად დამიპირისპირდა, თავს სპეციალურად შემუშავებული სისტემით ვიცავდი. კოლექტიურად დაცვისთვისაც შესაძლებელია სპეციალური სისტემის შექმნა.

***– ამ სისტემით „ქართული ოცნება“ უნდა გათავისუფლდეს სააკაშვილთან შეკრული ხალხისაგან?***

– სააკაშვილის პოლიტიკური პროცესებისაგან ჩამოსაცილებლად უნდა გაკეთდეს ორი რამ. პირველ რიგში, მას უნდა ჩამოერთვას ნაძარცვი ქონება და მისი აგენტურა უნდა ჩამოსცილდეს სახელმწიფო აპარატს, პოლიტიკურ პროცესებს. საჭიროა სააკაშვილის აგენტურის ლუსტრირება.

***– აგენტურა უნდა ჩამოსცილდეს გავლენის სფეროებს?***

– მარტო ჩამოცილება არ კმარა. საჭიროა მათი დასახელება. აგენტურის პრობლემა ქართულ პოლიტიკაში ყოველთვის იდგა, მაგრამ ასე მასშტაბურად არა. ბიძინა ივანიშვილს გარემოცვაში ძალიან დიდი რაოდენობით ჰყავდა და ახლაც ჰყავს სააკაშვილის აგენტურა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რომ ჩამოვაყალიბე, ვეცადე, მასში ნაკლებად ცნობილი გაუსვრელი ადამიანები შემეყვანა. ახლა სააკაშვილს ხელისუფლებაში, ივანიშვილის გარემოცვაში ჰყავს თავისი ხალხი. ხდება საბოტაჟი. სააკაშვილი აფერხებს ქვეყნის განვითარებას. 4 წელიწადია, ეს გრძელდება. ვდგავართ საშიშროების წინაშე, რომ ეს კიდევ გაგრძელდეს.

***– მმართველი კოალიციის დაშლით არაფერი შეცვლილა?***

– რადიკალური ძვრები არ მომხდარა. კოალიციიდან გასულები, უმეტესად, სააკაშვილის მიერ მართული არიან. ბიძინა ივანიშვილი თავის გამოსვლებში მათ სხვა საკითხების გამო აკრიტიკებს, თუმცა ამ პოლიტიკოსების აგენტობასა და სააკაშვილთან კავშირზე არაფერს ამბობს. სერიოზული ინფორმაცია მაქვს იმაზე, რომ კვირიკაშვილი და მისი გარემოცვა წინასაარჩევნოდ ნაციონალებთან გარიგდნენ. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს უბრალოდ მოხდა.

***– ანუ ეჭვი გაქვთ, რომ ეს პოლიტიკოსებიც სააკაშვილისგან იმართებიან?***

– რა თქმა უნდა. კვირიკაშვილის მოსვლით დაიწყო კოაბიტაცია 2.

***– დავით კოღუაშვილის განცხადებებიც ამის გამოძახილია?***

– დავით კოღუაშვილს თავისით არ გაუკეთებია შემრიგებლური განცხადებები ნაციონალების მიმართ. ეს იყო კვირიკაშვილის პოზიცია. მას უნდოდა მისი გასაჯაროება და ეცადა ამას კოღუაშვილის მეშვეობით.

***– თუ არაფერი შეიცვალა, კოაბიტაცია გაგრძელდება?***

– თუ არ გადაიდგა ნაბიჯები სააკაშვილის საწინააღმდეგოდ, აუცილებლად დაიწყება კოაბიტაცია 3. ახალი კოაბიტაცია არ უნდა დავუშვათ. სააკაშვილს აქვს დიდი ფული და ჰყავს მართული ხალხი პოლიტიკურ სპექტრში, მმართველ წრეებში. მისი აგენტურა აქტიურია. თუ ამას არ ეშველა, სამართლიანობის აღდგენაზეც უარი უნდა ვთქვათ და ქვეყნის განვითარებაზეც. თუ ისევ ყველაფერი სააკაშვილის ხელში დარჩა, ქვეყნის ფიზიკური გადარჩენის პრობლემა დადგება. საქართველოში ჩადებულია ბომბი, რომლის პულტიც სააკაშვილს უჭირავს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ოქრუაშვილი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი გახდა?

## „თქვენს საქციელს რა ჰქვია, ვირო, მადლი ......?“

შორენა მარსაგიშვილი

ქალაქ გორის მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი ირაკლი ოქრუაშვილი კვლავ ყურადღების ცენტრშია.

მას შემდეგ, რაც ბრმანაწლავისგან გათავისუფლდა, ბ-ნი ოქრუაშვილი ჯიდიესის ეთერში დაჯდა და მრისხანე სახით მორიგი გამაოგნებელი განცხადება გააკეთა. მან პირდაპირ თქვა, რომ ხალხს მოუწოდებს, ხმა „ოცნებას“ მისცენ.

ეს განცხადება გასაკვირი იმითაა, რომ ბოლო პერიოდში მას ხელისუფლებასთან საქმე გაუფუჭდა. ხან ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს მიახტა, ბიზნესის დაწყებაში ხელი შემიშალაო, მერე რუსთავი 2-თან დაკავშირებით ისეთი დოკუმენტები ააფრიალა, „ოცნებაში“ კინალამ ჭკუიდან გადავიდნენ. ამ ყველაფრის შემდეგ კი ის მმართველი ძალის გულშემატკივრის რანგში მოევლინა ქვეყანას.

– მე არც ერთი პარტიის მიერ არ ვარ დასახელებული და არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად ვიღებ. ეს ნაბიჯი სპეციალურად გადავდგი. ჩემი მხრიდან არჩევნებში პარტიულად მონაწილეობით, „ქართულ ოცნებას“ მეტ ხმას წავართმევდი, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას და ნებისმიერ სხვას.

ასე მოხდა 2014 წელს, როცა „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივ არჩევნებზე პარტიულად 36% აიღო, მე კი – 30%. ასე რომ, ჩემი პარტიულად მონაწილეობის შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ ზუსტად იმდენ ხმას მიიღებდა, რამდენსაც ნაციონალური მოძრაობა. ამ ნაბიჯზე შეგნებულად არ წავედი, რომ წყალი ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე არ დამესხა. ერთ-ერთ შეხვედრაზე მკითხეს, თუ რატომ ვეუბნები ხალხს, რომ ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცენ. იმიტომ, რომ უკეთესი არავინ არ არის, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა გადაცემა 2030-ში.

ეს მხარდაჭერა „ოცნებამ“ ოქროს არ დაუფასა. ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში მის პლაკატებს მისი მეოცნებე კანდიდატის, იოსებ მაკრახიძის, პლაკატები გადააკრეს.

ამან ოქრუაშვილი ძალიან გააბრაზა და მან სოციალურ ქსელში საგანგებო განცხადება გააკეთა.

– თბილისის ქართულო ოცნება, ამ ფოტოებს ჩემი 20 სექტემბრის ჯიდიეს-ზე გამოსვლის შემდეგ რა დავარქვათ, ვირო, მადლი...? რა ვქნათ, თქვენ მიხედავთ თქვენი ოფისის ადგილობრივ იდიოტებს, თუ ჩვენ მივხედოთ?, – იკითხა ოქრომ და მავნებლობის ამსახველი ფოტოებიც გამოაქვეყნა.

ამის ხილვამ მეოცნებეებს სიამე მოჰგვარა, დამოუკიდებელი კანდიდატის მომხრეები კი ბრაზმა შეიპყრო. ისინი ერთმანეთის მიყოლებით შევიდნენ ოქროს გვერდზე და დაწერეს, რომ მაკრახიძის მომხრეების თავგასულობას კრახით დაასრულებდნენ.

◆ ◆ ◆

მაკრახიძის სურათებით დამძიმებულ ოქრუაშვილს სხვა თავსატეხიც გაუჩნდა. წინა კვირას ის კონკურენტმა მამუკა ნოზაძემ ლუდით ამომრჩევლის მოსყიდვაში დაადანაშაულა, გუშინ კი იგივე ბრალდება საიამაც გაიმეორა.

– როგორც ჩანს, ერთი დაბალი დონის ინტრიგანის ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა და მძიმე არტილერია ჩართეს ამაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არაფერი არ გამოუვათ იმიტომ, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია. პირადად მე 13-დან 16-მდე ვიმყოფებოდი საავადმყოფოში, არც ერთი ჩემი მეგობარი ანალოგიურად საქმეში ჩართული არ იყო, თუ ვინმემ ეს შეგნებულად გააკეთა ჩვენი სახელით იმის გამო, რომ ჩრდილი მოგვაყენოს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

საიას დასკვნა არ არის იმპერატიული სახის, ამას სჭირდება კვლევა, თუ კვლევა დაადგენს, რომ რაღაცაში ჩვენ ბრალი მიგვიძღვის, კი ბატონო, პასუხის ვაგებთ, თუ ასე არ იქნება, ბოდიში მოგვიხადონ მაშინ, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა



# სოფიო ხორგუანი: „დაჯექი, ნიკა გვარამია, ორიანი!“

## „ამ ჩანაწერით ოთარ დანელიამ მოიგო“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი, კრიზის-მენეჯერი სოფიო ხორგუანი აფასებს.



***– სოფიო, საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა 26 მაისის საქმის გახსნას. ექსპერტებისგან კი მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს საქმე ნაციონალებთან ერთად „ოცნებასაც“ სერიოზულად დააზარალებს, რადგან ისმის კითხვა – რატომ მაინცდამაინც არჩევნების წინ, როდესაც შესაძლებელი იყო ამ საქმის წინა წლებში გამოძიება. როგორია თქვენი შეფასებები? ხელისუფლების მხრიდან კვლავაც მიდის მანიპულირება წარსულით?***

– ექსპერტები, რომლებიც ამაზე საუბრობენ, საკუთარ ლოგიკას ეწინააღმდეგებიან, რადგან თუ ამბობენ, რომ დაზარალდება, გამოდის, რომ მანიპულაციას ადგილი არა აქვს. თუ მე წინასწარ არ ვიცი, რომ ამით მხოლოდ მოვიგებ, რატომ უნდა გავაკეთო ასეთი რამე?! მე ამ ყველაფერს ძალიან კარგი და დადებითი კუთხით ვუყურებ.

***– რა თვალსაზრისით?***

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საგამოძიებო მოქმედებები მიდიოდეს ისე, რომ ამას კავშირი არ ჰქონდეს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასთან. ანუ პროკურორები არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ ესა თუ ის საქმე დააზარალებს თუ არ დააზარალებს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. გამოძიების შედეგები სწორედ მაშინ უნდა გახდეს საზოგადოებისთვის ცნობილი, როცა გამოძიება ლოგიკურად დასრულდება და არა მაშინ, როცა შესაძლებელია, ვიღაცისთვის ეს იყოს საინტერესო.

***– ამით რისი თქმა გსურთ?***

– ჩემთვის ეს ყველაფერი არის იმის ნიშანი, რომ პროკურატურა დღეს არ არის პოლიტიკური პროცესის მონაწილე. როგორც ეს ადრე ხდებოდა, როცა ზურაბ ადეიშვილის კაბინეტში ხდებოდა იმის დაგეგმვა, როდის რა უნდა გაეკეთებინა შინაგან საქმეთა მინისტრს, რა უნდა გაეკეთებინა გუბერნატორს, ფინანსურ პოლიციას და ასე შემდეგ. ეს პროცესი გავიარეთ, როდესაც ყველაფერს მართავდა სამი ადამიანის თავყრილობა.

ჩვენმა საზოგადოებამ ამ მანკიერებაზე უარი თქვა და სწორედ ამიტომ დამთავრდა ნაციონალური მოძრაობა. დღეს აღარავინ იკრიბება პრემიერ-მინისტრის კაბინეტში და არ გეგმავს, თუ როგორ გაუსწორდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს.

***– თუმცა მაინც ჩნდება კითხვა, რატომ გააქტიურდა მაინცდამაინც ახლა პროკურატურა, როცა არჩევნებამდე სულ რაღაც სამიოდე კვირაა დარჩენილი?***

– ეს ლოგიკურია და გეტყვით, რატომ. პირველ წელს, როდესაც პროკურატურას ძალიან ბევრი საქმე მიაწყდა და ძალიან არასწორი იყო არჩილ კბილაშვილის და ლაშა ნაცვლიშვილის თანამდებობებზე ყოფნა, პროკურატურამ ვერ იმუშავა ისე, როგორც უნდა ემუშავა.

***– რა მიზეზით?***

– მათ ვერ შეძლეს სისტემის გამართვა. პირველი წლის განმავლობაში სისტემა იყო არაადეკვატური. დღეს სხვა ვითარება გვაქვს. კი, შეიძლება გვქონოდა სურვილი, უფრო სწრაფად მომხდარიყო ის, რასაც ახლა ვუყურებთ, მაგრამ ამ ყველაფერს ლოგიკური ახსნაც აქვს. არჩილ კბილაშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი არ იყვნენ კონრად ადენაუერის დონის მოაზროვნე პროფესიონალები. შევხედოთ რეალობას თვალებში და ვთქვათ, რომ ამ ადამიანებმა ვერ შეძლეს ის, რაც შეძლეს გერმანიაში!

***– რატომ, ისინი ატარებდნენ ვიღაცის ინტერესს თუ უბრალოდ პროფესიონალიზმი არ ეყოთ?***

– ისინი არ იყვნენ დიდი შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რომლებიც ახალ სისტემას შექმნიდნენ. ახლის შექმნას სულ სხვა მონაცემები სჭირდება! მათ ამისთვის არ ეყოთ არც ცოდნა, არც გამოცდილება და არც პიროვნული უნარები.

***– საზოგადოებაში გაჩნდა საკმაოდ ლოგიკური კითხვა – ეს არის ძველი თემებით მანიპულირება ხელისუფლების მხრიდან თუ რეალურად დაიწყო ასე დაგვიანებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი?***

– მე ამაში ვერ ვხედავ რაიმე მანიპულირებას. იმ ადამიანებმა, ვინც ვიცოდით, რაც იყო ეს რეჟიმი, ვიცოდით გუშინაც, ვიცით დღესაც და ხვალაც გვეცოდინება. ის, რაც მოხდა 26 მაისს, ესეც ვიცოდით, ამით ახალი არაფერი გამიგია. მერე რა, რომ საქმე გაიჭიმა, მაინც მიხარია, რომ საქმე მიდის დასასრულამდე და ვიცი, რომ მხოლოდ ეს ვიდეოფირი არ არის მტკიცებულება, ამ საქმეზე ძალიან ბევრი მტკიცებულება შეგროვდა. დღეს ბევრ ადამიანს გაუჩნდა მოტივაცია, რომ მათი საქმეები იყოს გადახედილი და მათზე გამამართლებელი განაჩენები დადგეს.

***– ანუ პროკურატურის გააქტიურებას არჩევნების მოახლოებას არ უკავშირებთ?***

– არა. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ არჩევნები მოახლოვდა. პირიქით, არჩევნების წინ შეიძლება მოუბრუნდეს ვიღაცა და უთხრას, კი მაგრამ, ამდენი ხანი სად იყავი?! ამიტომ მე ვერ ვხედავ, ეს კეთდებოდეს იმისთვის, რომ ხელისუფლებას რაიმე სარგებელი მოუტანოს. პირიქით, შესაძლოა უსაყვედურონ.

თუმცა აქედან სარგებელი არის ის, რომ, როგორც იქნა, ჩვენს ქვეყანას ჰყავს პროკურატურა, რომელიც არ ითვალისწინებს პოლიტიკურ კონიუნქტურას. მიუხედავად იმისა, რომ ხან ხელისუფლებას არ მოსწონს მისი გადაწყვეტილება და ხან – ოპოზიციას.

***– ასევე საკმაოდ აქტუალურია ფარული ჩანაწერების თემა. პაატა ბურჭულაძის და ნიკა გვარამიას ფარული სატელეფონო ჩანაწერის შემდეგ, საზოგადოების ყურადღების ქვეშ ნიკა გვარამიას ფეისბუქგვერდზე გავრცელებული ჩანაწერი მოექცა, სადაც ის ოთარ დანელიას ჩანაწერს აქვეყნებს, რომელიც სარეკლამო ჭრის დროს ფარულადაა გადაღებული. ამ ყველაფერზე როგორია თქვენი შეფასება?***

– მე ყოველთვის ჟურნალისტების მხარეს ვარ, რადგან მათი ვალია, ნებისმიერ ფასად მოიძიონ ინფორმაცია, არაეთიკურ გზებს მიმართონ და საზოგადოებას მიაწოდონ. მე ერთხელ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მაგიდიდან დოკუმენტი მომპარა.

თუმცა ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ამ ფაქტზე ჩემი ეს დამოკიდებულება ვერ გავრცელდება. რაღაცა ღირებული ხომ უნდა იყოს ინფორმაცია, რომელსაც ფარულად იწერ და საზოგადოებას აწვდი?! კორუფციულ გარიგებაზეა საუბარი? სახელმწიფოს უსაფრთხოებას ეხება საქმე?! რა მოგვცა ამ ჩანაწერმა, რა მოვისმინეთ?!

***– ამართლებთ ოთარ დანელიას რეაქციას?***

– მე რომ ვარ ეთერში და ვფიქრობ, ოპონენტს რით ვუპასუხო და ამ დროს ვიღაც რჩევას მაძლევს, შეიძლება უფრო უხეშადაც მეპასუხა. რა მოგვცა ამ ჩანაწერმა? ერთადერთი დავინახე ის, რომ ოთარ დანელია პასუხისმგებლობით აღსავსე და პრინციპული ადამიანია და არ ეშინია იმის, ვინ რას იტყვის ამაზე. რეალურად ამით ვინც მოიგო, მოიგო ოთარ დანელიამ.

***– რა იყო ამ ჩანაწერის გავრცელების მიზანი?***

– არ ვიცი, რა გეგმები ჰქონდა ნიკა გვარამიას, რატომ გააკეთა ეს ყველაფერი. მე გამოვიტანე ერთი დასკვნა – ეს არის მისი ჩვეული მოქმედების სტილი, როცა ის პროკურორი იყო, როცა იუსტიციის მინისტრი იყო, ეს მათი ჩვეული სტილია. ვერ ისწავლეს, რომ ამ სტილმა ერთხელ უკვე წააგებინა, დააკარგვინა ძალაუფლება. ისევ იმ გზას ადგანან. შანტაჟის და ფარული მიყურადების გზას. არ გამოსწორდა, სავლე პავლედ არ გადაიქცა! ვერ ისწავლეს გაკვეთილი! ამიტომ დაჯექი, ნიკა გვარამია, ორიანი!

## გამოხმაურება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე – „მესხები დედაქალაქის გამწვანებაზე ფიქრობენ“

**რამდენიმე დღის წინ გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნდა სტატია „მესხები დედაქალაქის გამწვანებაზე ფიქრობენ“.**

**წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მხარი დაუჭირეს ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის პრეზიდენტის ამირან მექვაბიშვილის ინიციატივას დედაქალაქის ხრიოკი ადგილების გამწვანების საკითხში.**

**წერილს მხარს უჭერენ:**

**ვაჟა ბერიძე – საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის ეთნარქი;**

**თენგიზ მაისურაძე – თბილისში მცხოვრები ყველაზე მარავალრიცხოვანი გვარის თავმჯდომარე;**

**ლერი კვაჭანტირაძე – ქართული გვარების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;**

**ანზორ კუპატაძე – კუპატაძეების გვარის კავშირის გამგეობის წევრი;**

**ზაურ ხაჩიძე – ხაჩიძეების გვარის მედროშე;**

**ვანო პაპუნიძე – აკადემიკოსი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ყოფილი დირექტორი.**

## საბავშვო პოეტს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება



თერჯოლაში მცხოვრებ საბავშვო პოეტს თამარ გავაშელაშვილს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება. „იმედის გმირი“ პოეტი, რომელიც წლების განმავლობაში თავად უწვდიდა დახმარების ხელს ყველაზე გაჭირვებულ თანამემამულეებს, ახლა საზოგადოების თანადგომას საჭიროებს.

თამარ გავაშელაშვილს 22 სექტემბერს ურთულესი ოპერაცია აქვს დანიშნული. მას ერთი კიდურის ამპუტაცია და პროტეზირება ესაჭიროება. მეორე კიდურზე კი მუხლის სახსარი აქვს გამოსაცვლელი. მუდმივად მედიკამენტების მიღებამ მას ჯანმრთელობა სერიოზულად შეურყია და ეტლში გადასვლაც აღარ შეუძლია.

საჭირო თანხის მოსაგროვებლად თამარ გავაშელაშვილი საკუთარ საბავშვო წიგნს „გზა ბაღიდან სკოლისკენ“ ყიდის, რათა ცოტაოდენი ფული მაინც შეაგროვოს.

პოეტი წლებია საწოლს არის მიჯაჭვული. მისი ცხოვრება მდინარეზე ერთმა ბანაობამ რადიკალურად შეცვალა. პატარაობისას, მდინარეში ბანაობის დროს, ფეხში შეერჭო წვეტიანი ქვა, დაუსივდა, გვიან მიაკითხეს ექიმს და შრატის დაგვიანებამ ძვლის დაშლა გამოიწვია. პოეტი სამუდამოდ მიეჯაჭვა ლოგინს.

ამის მიუხედავად, მან შექმნა „იმედის სახლი“ და შემოწირულობებით გაჭირვებულ ადამიანებს 22 წელია სახლიდან გაუსვლელად ეხმარება. თამარ გავაშელაშვილი თავისი საქციელით „იმედის გმირიც“ გახდა და მასზე პროექტის ჟურნალისტებმა გადაცემაც მოამზადეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# Universal Hospital საქართველოთი დაინტერესდა

**სამედიცინო რეაბილიტაციისა და ჯანმრთელობის მრავალპროფილური ცენტრი Universal Hospital, რომლის სათავო ოფისი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებშია განთავსებული, საკუთარი სერვისებისა და მომსახურების საქართველოში განხორციელებით დაინტერესდა. კომპანია სამედიცინო სფეროში რამდენიმე წელია ფუნქციონირებს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან წარმატებით თანამშრომლობს. კომპანიის წარმომადგენლები რამდენიმე დღით საქართველოში იმყოფებოდნენ, შეხვდნენ ქართველ პარტნიორებს, დაათვალიერეს ადგილობრივი სამედიცინო ცენტრები, გაეცნენ ინფრასტრუქტურას და აღნიშნეს, რომ საქართველოში ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობები და გარემოა შექმნილი. წლის ბოლომდე კომპანიის მმართველები თბილისს კიდევ ერთხელ ესტუმრებიან და კონკრეტულ გადაწყვეტილებას სწორედ ხელმეორე ვიზიტის შემდეგ მიიღებენ.**

**გვესაუბრება Universal Hospital-ის მმართველი დირექტორი, დოქტორი შაბერ ნელიკოდე.**



***– საინტერესოა, რა არის საქართველოში თქვენი ჩამოსვლის მთავარი მიზანი?***

– Universal Hospital, რომლის მთავარი ოფისი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, კერძოდ კი დედაქალაქ აბუ დაბიშია განთავსებული, მთელს მსოფლიოში მოქმედებს და სამედიცინო და სარეაბილიტაციო, ასევე ფიზიოთერაპიის მიმართულებებით სხვადასხვა ქვეყნებთან აქტიურად თანამშრომლობს. ამჟამად, დაინტერესებულები ვართ საქართველოში გარკვეული ინვესტიციების განხორციელებით. ამ ეტაპზე, ვეცნობით იმ სიტუაციას, რაც საქართველოშია, ვსწავლობთ და ვაკვირდებით მდგომარეობას დღეისათვის. ჩვენი პარტნიორების დახმარებით გვსურს ულტრათანამედროვე სამედიცინო-სარეაბილიტაციო და ფიზიოთერაპიის ცენტრის შექმნა, სადაც სამკურნალოდ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ თქვენი მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებიც ივლიან ირანიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და სხვადასხვა ქვეყნებიდან. ნებისმიერ მსურველს შეეძლება აღნიშნული სამედიცინო ცენტრებით სარგებლობა. მთავარი მიზანი კი ისაა, რომ მომხმარებელს საუკეთესო პირობები დავახვედროთ. ყველაფერი უნდა ვილონოთ იმ ადამიანების მაქსიმალურად გაჯანსაღებისათვის, ვინც კიბოს და სხვა მძიმე დაავადებებს ებრძვიან და ასევე სრულფასოვან სარეაბილიტაციო პროცედურებს საჭიროებენ.

***– როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ პირველი ვიზიტის შემდეგ?***

– მედიცინა ყოველდღიურად ვითარდება მთელს მსოფლიოში. წლების წინ, ამ მიმართულებით ნამდვილად სხვაგვარი სიტუაცია იყო, დღეს კი განვითარების ტემპი მართლაც ძალზე სწრაფია. საქართველოში რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება დავათვალიერეთ, შევხვდით და ვესაუბრეთ ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებს და შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ნანახით კმაყოფილნი დავრჩით, მაგრამ უკეთესი და ეფექტური შედეგებისათვის კიდევ უფრო მეტია საჭირო, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის კუთხით. სამედიცინო სფეროში საკმაოდ განათლებული და კომპეტენტური კადრები მუშაობენ, თუმცა მიგვაჩნია, რომ სამუშაო პირობები, ასევე ინფრასტრუქტურა და ის ტექნიკა, რაზეც მუშაობა უწევთ სპეციალისტებს, გაცილებით უკეთესი ხარისხის უნდა იყოს. სწორედ ამ მიმართულებით გვსურს განვახორციელოთ ინვესტიციები და გავაუმჯობესოთ ის გარემო, რაც დღევანდელ რეალობაშია თქვენს ქვეყანაში.

***– საქართველოსთან დაკავშირებით თქვენი კომპანიის მხრიდან უფრო კონკრეტული ნაბიჯების შესახებ როდის გახდება ცნობილი?***

– საქართველოში პირველი ვიზიტი გვქონდა. არ დაგიმალავთ, რომ მოგვეწონა აქაური გარემო, ხალხი და ზოგადად ის განწყობა, რაც ჩვენ მიმართ იგრძნობოდა აქ ყოფნის პერიოდში. სამედიცინო, სარეაბილიტაციო და სადაზღვევო ბიზნესის განსავითარებლად, საქართველოში მართლაც ხელსაყრელი გარემოა შექმნილი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თბილისში ძალიან ბევრი მეგობარი და ახლო პარტნიორი გვყავს, რაც საერთო საქმის წარმატებული სტარტისათვის კარგი წინაპირობაა. გვსურს ამ მიმართულებით მართლაც მნიშვნელოვანი ინვესტიციები განვახორციელოთ, რაც შეიძლება მეტი პროფესიონალი დავასაქმოთ, ქართველი ექიმები დავატრენინგოთ და რაც მთავარია, ხელსაყრელი და თანამედროვე სამუშაო გარემო და ინფრასტრუქტურა შევქმნათ. თანამედროვე მედიცინაში მნიშვნელოვანია სისტემურად გამართული მუშაობა და ამ მხრივაც დიდი გეგმები გვაქვს, მენეჯმენტის გამართულობასა და პროგრამულ დაგეგმვას ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ასე რომ, ჯამში საქართველოსთან მიმართებაში ძალზე სერიოზული გეგმები გვაქვს, წლის ბოლოს კიდევ ერთ ვიზიტს ვგეგმავთ და ვფიქრობთ, უფრო კონკრეტული ინფორმაცია გვექნება ჩვენი სამომავლო გეგმების შესახებ.

# რესპუბლიკელები ბათუმში თურქული სკოლის დახურვას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

20 სექტემბერს ბათუმში თურქული სკოლა გაიხსნა, რასაც დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ამ ფაქტმა რესპუბლიკელებიც კი შეაშფოთა. ისინი ხელისუფლებისგან განმარტებებს და სკოლის ფუნქციონირების შეჩერებას ითხოვენ.

პარტიის თავმჯდომარის, ხათუნა სამნიძის, განაცხადებით, სკოლა საქართველოს კანონმდებლობის სრული იგნორირებით, საქართველოსა და აჭარის შესაბამისი სამინისტროების ინფორმირებისა და საქართველოს განათლების სამინისტროსა და თურქეთის საელჩოს შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევის გარეშე, მოულოდნელად გაიხსნა.

გარდა ამისა, სკოლას აკრედიტაცია და ავტორიზაცია არ გაუვლია.

სამნიძის განცხადებით, ასეთი გაუგებრობა საქართველოს ხელისუფლების უყურადღებობამ გამოიწვია. მისი განმარტებით, სკოლასთან დაკავშირებით პრობლემები ჯერ კიდევ მისი მშენებლობის პროცესში შეიქმნა.

– ბათუმის მერიას არ გაუცია მშენებლობის ნებართვა, რის გამოც სკოლა არაერთხელ დაჯარიმდა. სკოლას არ გაუვლია აკრედიტაცია და ავტორიზაცია. ასევე, ცალკე აღსანიშნავია და შესასწავლია სკოლაში დასაქმებული თურქეთის მოქალაქეების შრომითი უფლებები, რაც არა მხოლოდ კონკრეტულად ამ სკოლის, არამედ მთელ საქართველოში შესასწავლი საკითხია.



„აჭარა ჩვენი აღარ იქნება"

აღნიშნული ადასტურებს, რომ საქართველოს მთავრობა უპასუხისმგებლოდ, უყურადღებოდ მოეკიდა საკითხს. ამას ადასტურებს განათლების მინისტრის განცხადება, რომ ის მოლაპარაკებების ეტაპზე არ იყო საქმის კურსში სკოლის შენობის უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით, – აღნიშნა სამნიძემ.

მისი განცხადებით, თურქეთი არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, რომელთანაც საქართველოს აქვს პრაქტიკულად ყველა სფეროში თანამშრომლობა, მათ შორის განათლების სფეროშიც.

– ამიტომ რესპუბლიკური პარტია მოელის, რომ საქართველოსა და თურქეთის შესაბამისი უწყებები დროულად მოაგვარებენ საკითხს კანონმდებლობის შესაბამისად. მოვითხოვთ, სასწრაფოდ მოხდეს რეაგირება, პრემიერ-მინისტრმა და განათლების მინისტრმა მიიღონ შესაბამისი ზომები და მანამ, სანამ პასუხი არ გაეცემა ყველა შეკითხვას, სკოლამ დროებით შეაჩეროს ფუნქციონირება, – განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

გაცილებით მკვეთრი პოზიცია აქვს „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI"-ის დირექტორ ზვიად ტომარაძეს. ის აღშფოთებული და გაოგნებულია იმ ფაქტის გამო, რომ სკოლის გახსნის შესახებ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

– მართალია, სკოლა ბათუმში მცხოვრები თურქი ოჯახების ბავშვებისთვის გაიხსნა, მაგრამ რატომ უნდა იყოს სწავლება თურქეთის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში?

თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის თურქეთის მთავრობა მოგვცემს უფლებას ქართული სკოლა გავხსნათ? მით უმეტეს, ეს სკოლა საქართველოს განათლების სამინისტროს დაექვემდებაროს? წარმოუდგენელია!

რატომ არ იყვნენ საქმის კურსში საქართველოს ან აჭარის განათლების სამინისტროს წარმომადგენლები? მეზობელი სახელმწიფო, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს აჭარა, ხსნის სკოლას და ამის შესახებ ყველა დუმს! ეს არის იდეოლოგიური ექსპანსია! თურქული რესტორნები და ბაგა-ბაღები გახსნილია, დღეს კიდევ ერთი სკოლა გაიხსნა, ხვალ მეორე გაიხსნება, ზეგ აზიზიეს მეჩეთი აშენდება, მაზეგ კი აჭარა ჩვენი აღარ იქნება, – აცხადებს ზვიად ტომარაძე.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნანკა კალატოზიშვილი კუთვნილ ხელფასს ითხოვს



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი კუთვნილ ხელფასს ითხოვს და ტელეკომპანია „ჯიდიესის" დირექტორს სპეციალური ვიდეოგზავნილით მიმართავს.

მსახიობის განცხადებით, სერიალ „მზარეულების" მსახიობებს აგვისტოს თვის ხელფასი აქამდე არ აუღიათ, „ჯიდიესის" დირექტორი მათთან კონტაქტზე არ გამოდის, ამიტომ ნანკა დახმარებისთვის ჟურნალისტებს მიმართავს:

– „ჯიდიესის" დირექტორს ხომ არ იცნობს ვინმე? ამბობენ, მდედრობითი სქესის არისო. სად დაიბადა, როგორ დაიბადა, ვინ გაზარდა, რა ზრდილობაა ეს საერთოდ, იქნებ ჰკითხოს ვინმემ? მსახიობებთან საერთოდ არ გამოდის კონტაქტზე...

ვინმეს თუ მიგიწვდებათ ხმა, არ ვიცი, ჟურნალისტს, ვინმე ღვთისნიერს, მაგრამ ღვთისნიერი მაგასთან ვერ მივა, ან არ მივა... ვინმემ ჰკითხეთ, ხომ კარგად არის? რა მოიგონა?

# მაია ბარათაშვილი თამარ მეფის ჯვრით დააჯილდოვეს



მომღერალი, თბილისის ბიგ-ბენდის სოლისტი მაია ბარათაშვილი დააჯილდოვეს. ჯაზ-მომღერალი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა.

სასიხარულო ინფორმაცია მაია ბარათაშვილმა თავად გაავრცელა:

– უბედნიერესი ვარ იმის გამო, რომ დღეს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის რექტორატმა დამაჯილდოვა და გადმომცა თამარ მეფის ჯვრის ასლი, რომელსაც დიდი სიამაყით ვატარებ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2439557

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1, 5 მეტრს;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია„-სთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით, რომელიც დადებითად იქნება შეფასებული კომპეტენტური საექსპერტო ორგანოს მიერ; პროექტთან ერთად ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ექსპერტის (ჰიდროლოგის) დასკვნა, სადაც დასაბუთებული იქნება, რომ მდინარის კალაპოტში ინერტული მასალის მოპოვება არ შექმნის წინაპირობას მაგისტრალური გაზსადენის სიახლოვეს განვითარდეს მდინარის, როგორც სიღრმითი, ისე გვერდითი (ნაპირების) ეროზიული პროცესები, რითაც საფრთხე შეექმნება მილსადენის უსაფრთხო ფუნქციონირებას.

ე) იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად წარმოებული სამუშაოები საფრთხეს შეუქმნის მაგისტრალურ გაზსადენს, მაშინ ლიცენზიანტმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს სამუშაოები და აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორაბერეჟოულის მიმდებარე ტერიტორია, მდ. სუფსის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 90 900 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორაბერეჟოულის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

12 188 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 218, 8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

6 294 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2439557

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს კომპანია „BP საქართველო„-სთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება ლიცენზიანტს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს, პოტენციური „ნაგები ჰესის„ არეალში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების და მშენებლობის პერიოდში;

ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალთაქლას მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე, „ალთაქლას„ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 32 700 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალთაქლას მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

4 977 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

497, 7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

2 689 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

3 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2439557

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაქრიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზანზე „ალაზნის„ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 15 900 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაქრიანის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

2 585 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

258,5 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

1 493 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

2 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №4

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2439557

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქ ყვარლის მიმდებარე ტერიტორია, მდ. დურუჯის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 300 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქ ყვარლის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

4 926 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

492,6 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

2 663 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

2 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

### ობიექტი №5

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2439557

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქი ქუთაისი, ნიკეას. ქ №44ბ, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქ ქუთაისის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

97 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

9,7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

249 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №19

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2439557

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქი სამტრედია, რუსთაველის ქ. №108, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 555 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქ სამტრედიის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

83 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

8,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

242 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №20

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2439557

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქი ქუთაისი, ლომოურის II ჩიხი, №4.(ნაკვეთი №2) მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქი ქუთაისის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

65 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

6,5 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

233 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# სასამართლომ ლისის ტბის წართმევის საქმეზე მამუკა ხაზარაძის, მიხეილ სააკაშვილის, გიგი უგულავას და სხვა მოქმედი პირების დაკითხვის შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა



## რა ხდება კიდევ ერთ სკანდალურ საქმეზე, რომელსაც „პაპუაშვილის საქმის“ განმხილველი მოსამართლე უძღვება?

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პრეზიდენტის, თბილისის მერიისა და ს.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მიმართ, ლისის ტბის წართმევის საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს 20 სექტემბრის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხმაურება და მოსამართლე დიანა ფარქოსაძეს საქმის შედეგის მიმართ, დაინტერესებაში და მიკერძოებულ წარმართვაში ადანაშაულებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“, რომელიც საქმეზე სასამართლო მონიტორინგს ახორციელებს, რამაზ ახვლედიანის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვაზე აკეთებს აქცენტს.

ორგანიზაციის შეფასებით, მოსამართლე თავისი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებით, მხარეს არ აძლევს შესაძლებლობას, სრულფასოვნად წარმოადგინოს საქმესთან შემხებლობაში არსებული მტკიცებულებები და მოწმის სახით დაიკითხონ ადამიანები, რომელთა მონაწილეობითაც, ბიზნესმენს 2006 წელს ქონება და ბიზნესი დაათმობინეს.

მოსამართლე დიანა ფარქოსაძემ 20 სექტემბრის სხდომაზე არ დააკმაყოფილა არც ერთი შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა ცალკეული საჯარო მოხელეების, პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და რამაზ ახვლედიანის ბიზნეს პარტნიორების მოწმის სახით დაკითხვას.

კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა, მოწმის სახით დაკითხულიყო რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე, საქართველოს პრეზიდენტი 2004-2013 წლებში, მიხეილ სააკაშვილი, თბილისის მერი 2005-2013 წლებში, გიგი უგულავა, მაშინდელი ფინანსური პოლიციის თანამშრომლები და გამომძიებლები, ნოტარიუსი, რომელთანაც ღამის საათებში მოხდა იძულების შედეგად დათმობილი ქონების და ბიზნესის გადაფორმება.

მოსამართლემ არც ერთი შუამდგომლობა, დაუსაბუთებლობისა და საქმესთან შემხებლობის არქონის მოტივით, არ დააკმაყოფილა.

სხდომაზე მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტებაც მოითხოვა და აღნიშნა, რომ ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №713 განკარგულება რამაზ ახვლედიანის მიმართ 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის გაუქმების ნაწილში, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური.

ასევე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ახალი ადმინისტრაციული წარმოების გზით, უნდა დავალებოდა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევა და შეფასება, ახალი აქტის გამოცემა სადავო ურთიერთობების მოწესრიგების პროცესში.

მოსამართლე დიანა ფარქოსაძემ სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტება სამოქალაქო განსჯადობის ნაწილად მიიჩნია, რაც პირდაპირ წარმოადგენს მხარის უფლების შეზღუდვას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის სასამართლოს მხრიდან შეგნებულ დარღვევას.

◆ ◆ ◆

მოსამართლე დიანა ფარქოსაძე საქმეს 2015 წლის 12 ნოემბრიდან განიხილავს.

დავის საგანს პრეზიდენტის განკარგულების ბათილად ცნობა წარმოადგენს.

ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანს 2006 წლის 4 ნოემბერს ფინანსურ პოლიციაში განცხადება დააწერინეს, რითაც, სახელმწიფომ მოქალაქეს, როგორც ქონება, ასევე ბიზნესი დაათმობინა. რამაზ ახვლედიანს განცხადება საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის მერიის სახელზე დააწერინეს. განცხადებაზე რეგისტრირებულია მისი თვითმმართველობის ორგანოში ოფიციალური რეგისტრაციის ნომერიც და თარიღიც.

დოკუმენტი მიუთითებს, რომ თბილისის მერიაში რამაზ ახვლედიანის განცხადება რეგისტრირებულია განცხადებაზე ხელმოწერიდან მეოთხე დღეს, 8 ნოემბერს.

წარმოდგენილი დოკუმენტი პირველი საჯარო დადასტურებაა, თუ როგორ ხდებოდა ქონების დათმობაზე მესაკუთრეთა განცხადებების მომზადება. ორგანიზაციამ აღნიშნული დოკუმენტი, მრავალთვიანი კომუნიკაციის შედეგად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიიღო. სწორედ აღნიშნულის შემდგომ განახლდა სასამართლო დავაც.

◆ ◆ ◆

როგორც 20 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე ბიზნესმენმა რამაზ ახვლედიანმა განაცხადა, 2006 წლის 4 ნოემბერს ის დაიბარეს ფინანსურ პოლიციაში და ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობით დაემუქრნენ როგორც მას, ასევე მის ახლობლებს.

რამაზ ახვლედიანი იძულებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და ელიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა.

წერილში, ნების საწინააღმდეგოდ, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ შენობა-ნაგებობებზეც.

ბიზნესმენის განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შეძენილი და 2006 წელს პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება ჩამოართვა.

◆ ◆ ◆

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულების საფუძველზე, 2006 წლის 14 ივლისს, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 63.5.ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა რამაზ ახვლედიანს, ხოლო 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა ს.ს. „ლისის ტბას“.

აღნიშნული კომპანიის პარტნიორები იყვნენ რამაზ ახვლედიანი და მამუკა ხაზარაძე.

ლისის ტბაზე წართმეული ქონების ამჟამინდელი მფლობელია კომპანია „ლისი ლეიქ დეველოპმენტი“, რომლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ბობ მეიერი.

ორგანიზაცია ასევე ყურადღებას ამახვილებს თბილისის მერიისა და ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძის დღევანდელ თანამშრომლობაზე, რომელიც მიმართულია ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისკენ და აღნიშნავს, რომ არსებობს სამართლებრივი მოცემულობა, როდესაც საკუთრების დათმობას ხელი შეუწყვეს იმ ბიზნეს-პარტნიორებმაც, რომელთა მოქმედებებშიც სახელმწიფოსთან ფარული გარიგებები იკვეთება.

ორგანიზაცია გამოთქვამს მოტივირებულ ვარაუდს, რომ შესაძლებელია, გავლენის სფერო მოსამართლის მიუკერძოებლობაზე მოქმედებდეს. სასამართლომ ვერ შეძლოს პოლიტიკური ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ უკვე საჯაროდ გამოეხმაურა თბილისის მერიის საქმესთან დაკავშირებულ სამართლებრივ პოზიციას და აღნიშნა, რომ ლისის ტბის წართმევის საქმეზე თბილისის მერიის სამართლებრივი პოზიცია სისტემური დანაშაულის მხარდაჭერაზეა გათვლილი.

ორგანიზაციამ მოითხოვა, მერმა დავით ნარმანიამ პასუხი მოსთხოვოს მუნიციპალიტეტის იურიდიულ სამსახურს, რომელიც სასამართლოში წარმოდგენილ სამართლებრივ პოზიციაში ავითარებს მსჯელობას, რომ რამაზ ახვლედიანს თითქოსდა პირადი სურვილი ამოძრავებდა, დაეწერა განცხადება და დაერეგისტრირებინა თბილისის მერიაში.

თბილისის მერიის დღევანდელი პოზიცია მხოლოდ ცინიკური დამოკიდებულებაა ქონებაჩამორთმეულის საქმეზე.

ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა, ლისის ტბის ჩამორთმევის საქმეზე 2016 წლის მაისში გამართულ მედია-ფორუმზე განაცხადა, რომ საქმეში იკვეთება „ლისი ლეიქ დეველოპმენტისა“ და „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ პარტნიორების მხრიდან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, განსაკუთრებით, მამუკა ხაზარაძის მხრიდან, რომელიც გახლდათ რამაზ ახვლედიანის პარტნიორი და დაგეგმილი ჰქონდათ, ერთად გაეუმჯობესებიათ ლისის ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობა.

– მასალებით დგინდება, რომ ქონების ჩამორთმევის საკითხი მტკივნეული აღმოჩნდა მხოლოდ რამაზ ახვლედიანისთვის, ვინაიდან ქონების ჩამორთმევის შემდეგ ს.ს „ლისის ტბის“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის პრეტენზიას, სულ მცირე განცხადებით მიმართვას უფლებამოსილი ორგანოებისთვის, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის.

შესაბამისად, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს საქმეში მამუკა ხაზარაძის „უმოქმედობა“ ქონების ჩამორთმევის თაობაზე, რასაც შემდეგ მოჰყვა ის, რომ მამუკა ხაზარაძის საკუთრებაში არსებულ კომპანიებს სახელმწიფომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასცა ლისის ტბის ტერიტორიაზე არსებული ქონება, მიწის ნაკვეთები, რომლის ნაწილიც წარმოადგენდა ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის საკუთრებას, – აღნიშნა კაიკაციშვილმა.

მისი თქმით, 2015 წლის 11 აგვისტოს ორგანიზაციამ 15 კითხვით მიმართა მამუკა ხაზარაძეს, მათ შორის კითხვით, ფიქრობდა თუ არა, რომ რამაზ ახვლედიანი იყო ქონებაჩამორთმეული, თუმცა მამუკა ხაზარაძემ საკითხზე დუმილი ამჯობინა.

მაშინ საკითხით „გურია ნიუსიც“ დაინტერესდა და ეცადა მამუკა ხაზარაძესთან დაკავშირებას, თუმცა, როგორც „თი-ბი-სი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ისინი უფლებამოსილები არ არიან საქმეზე განმარტებები გააკეთონ, კითხვებით კი „ლისი ლეიქ დეველოპმენტში“ გადაამისამართეს.

პორტალი აღნიშნავს, რომ „ლეიქ დეველოპმენტს“ სურდა, ოფიციალური განცხადება გაევრცელებინა, თუმცა ამ დრომდე ასეთი განცხადება საზოგადოებას არ უნახავს.

◆ ◆ ◆

ბიზნესმენი რამაზ ახვლედიანი საკუთარი ქონებრივი უფლებების აღდგენას საქართველოს პროკურატურის სპეციალური დეპარტამენტის მეშვეობითაც ცდილობს და საქმეზე გააჩნია კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მოლოდინი.

„ლისის ტბის“ წართმევის საქმეზე ორგანიზაციამ 2015 წელს სპეციალური ანგარიშიც მოამზადა, რასაც საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან მკვეთრი გამოხმაურება მოჰყვა.

საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა 2016 წლის 6 ოქტომბერს, 15:00 საათზე განახლდება.

# შედეგები

**20 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

ბორნმუთი-პრესტონი ............ 2:3(დდ)
ბრაიტონი-რედინგი ............ 1:2
დერბი-ლივერპული ............ 0:3
ევერტონი-ნორვიჩი ............ 0:2
ლიდსი-ბლექბერნი ............ 1:0
ლესტერი-ჩელსი ............ 2:4(დდ)
ნიუკასლი-ვულვზი ............ 2:0
ნოტინგემი-არსენალი ............ 0:4

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ეიბარი ............ 2:1
სევილია-ბეტისი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-3 | 12 |
| 2.სევილია | 5 | 3 | 2 | 0 | 10-6 | 11 |
| 3.ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 13-5 | 9 |
| 4.ლას პალმასი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-5 | 9 |
| 5.ატლეტიკო | 4 | 2 | 2 | 0 | 10-1 | 8 |
| 6.ვილიარეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| 7.ეიბარი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 8.ხიხონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-7 | 7 |
| 9.ალავესი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 10.ბილბაო | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| 11.დეპორტივო | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 12.მალაგა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 13.ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-11 | 5 |
| 14.სოსიედადი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 15.ლეგანესი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 16.ესპანიოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 7-11 | 2 |
| 17.გრანადა | 4 | 0 | 2 | 2 | 5-10 | 2 |
| 18.ოსასუნა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| 19.სელტა | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |
| 20.ვალენსია | 4 | 0 | 0 | 4 | 5-10 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-კორდობა ............ 0:1
ლუგო-ვალიადოლიდი ............ 1:0
კადისი-ნუმანსია ............ 1:0
ხიმნასტიკი-სარაგოსა ............ 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-დორტმუნდი ............ 1:5
ინგოლშტადტი-აინტრახტი ............ 0:2
დარმშტადტი-ჰოფენჰაიმი ............ 1:1
ფრაიბურგი-ჰამბურგი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-3 | 9 |
| 2.ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-1 | 9 |
| 3.ჰერტა | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 4.აინტრახტი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| 5.ლაიპციგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 6.კიოლნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 7.გლადბახი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 8.ფრაიბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 9.ვოლფსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 10.მაინცი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-7 | 4 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 4 | 0 | 4 | 0 | 7-7 | 4 |
| 12.დარმშტადტი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-9 | 4 |
| 13.ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 14.აუგსბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 15.ინგოლშტადტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |
| 16.ჰამბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |
| 17.შალკე | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |
| 18.ვერდერი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-12 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-ბოხუმი ............ 3:0
ნიურნბერგი-ფიურტი ............ 1:2
ზანდჰაუზენი-ჰაიდენჰაიმი ............ 0:0
შტუტგარტი-ბრაუნშვაიგი ............ 2:0

**იტალია. სერია ა**

მილანი-ლაციო ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-5 | 10 |
| 2.იუვენტუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 3.მილანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 4.რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-5 | 7 |
| 5.კიევო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 6.ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 7.ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 8.ჯენოა | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 9.ფიორენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 10.სამპდორია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 11.სასუოლო | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| 12.უდინეზე | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| 13.ბოლონია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-9 | 6 |
| 14.ტორინო | 4 | 1 | 1 | 2 | 8-6 | 4 |
| 15.კალიარი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 4 |
| 16.პესკარა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 17.ემპოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 18.ატალანტა | 4 | 1 | 0 | 3 | 6-10 | 3 |
| 19.პალერმო | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 20.კროტონე | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ვიჩენცა ............ 2:0
აველინო-ჩიტადელა ............ 0:1
ბენევენტო-პრო ვერჩელი ............ 1:1
ბრეშა-კარპი ............ 2:2
ენტელა-პერუჯა ............ 2:1
ფროზინონე-პიზა ............ 0:0
ნოვარა-ლატინა ............ 2:2
სპალი-ვერონა ............ 1:3
ტერნანა-ბარი ............ 0:0
ტრაპანი-სპეცია ............ 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-ტულუზა ............ 1:2
პსჟ-ლიონი ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 6 | 4 | 1 | 1 | 15-4 | 13 |
| 2.მონაკო | 5 | 4 | 1 | 0 | 13-4 | 13 |
| 3.ტულუზა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 4.ნიცა | 5 | 3 | 2 | 0 | 7-4 | 11 |
| 5.მეცი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 6.ბორდო | 5 | 3 | 0 | 2 | 8-8 | 9 |
| 7.გენგამი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 8.სტ.ეტიენი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 9.ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 10.რენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 11.ბასტია | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| 12.მონპელიე | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 6 |
| 13.ანჟე | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 14.კაენი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-12 | 6 |
| 15.მარსელი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| 16.ნანტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 17.ლილი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-11 | 4 |
| 18.დიჟონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 19.ნანსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 20.ლორიანი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

აიაჩო-ოსერი ............ 2:0
ამიენი-ვალანსიენი ............ 0:0
ლავალი-სოშო ............ 1:1
ლე ავრი-ბრესტი ............ 1:1
ლანსი-ორლეანი ............ 4:2
ნიმი-ტრუა ............ 2:2
ნიორი-გაზელეკი ............ 0:0
რეიმსი-კლერმონი ............ 2:1
ტური-ბურჟი ............ 0:2

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-სილკებორგი ............ 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

პკ 35-ჰიფკი ............ 0:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა


## მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

☎ 599-73-48-21.

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორიო) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისადანარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
**☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).**
**მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.**

# ობამა: „რუსეთს ძველი დიდების აღდგენა ძალისმიერი გზებით სურს“



ბარაქ ობამა გაეროს ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. ეს იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა პრეზიდენტის რანგში. იანვარში ობამას თეთრი სახლის დატოვება მოუწევს.

ობამამ საერთაშორისო მდგომარეობის დეტალური ანალიზი გააკეთა. მან განაცხადა, რომ მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია და ეს რუსეთის გამო ხდება.

– რუსეთს ძველი დიდების აღორძინება ძალისმიერი საშუალებებით სურს! ეს დაუშვებელია, – თქვა ამერიკის პრეზიდენტმა.

ობამამ ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დაუსჯელი არ დარჩება.

– თუკი აღნიშნული კურსი გაგრძელდა, ეს არა რუსეთის საზღვრების გაფართოებით, არამედ შეკვეცით დასრულდება, რუსეთის ტერიტორიაზე კი მოსახლეობა თავს უსაფრთხოდ არ იგრძნობს, – თქვა ობამამ.

# ნავალნი რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს



რუსული ოპოზიციის ლიდერმა ნავალნიმ განაცხადა, რომ არასოდეს არჩევნების ბოიკოტირებისკენ არ მოუწოდებია.

– არჩევნები ერთადერთი შანსია საიმისოდ, რომ რუსეთში ცვლილებები მშვიდობიანი გზით მოხდეს. ცვლილებები გარდაუვალია, მაგრამ თუკი ეს არჩევნების გზით არ მოხდება, სისხლი დაიღვრება. მე ეს არ მსურს, – თქვა ნავალნიმ.

რუსული ოპოზიციის ლიდერმა დუმის არჩევნები ნეგატიურად შეაფასა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მასში მონაწილეობა 50%-ზე ბევრად ნაკლებმა მიიღო. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ არჩევნების ბოიკოტირება გაუმართლებელია.

– ვაპირებ რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე კენჭი ვიყარო! – თქვა ნავალნიმ.

# ალექსანდრე სიტნიკმა რუსეთი დატოვა



ცნობილმა ჟურნალისტმა ალექსანდრე სიტნიკმა განაცხადა, რომ უთვალთვალებენ, შინ სისტემატურად ურეკავენ, ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან, მის ტელეფონს კი უსმენენ.

– ესაა რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელებული ჩუმი ტერორი, – თქვა სიტნიკმა.

ჟურნალისტი ამბობს, რომ ასეთ სიტუაციაში მისი ქვეყანაში დარჩენა და მუშაობა შეუძლებელია.

– მეც გადავწყვიტე, რომ რუსეთი დავტოვო, – განაცხადა სიტნიკმა.

# ყირგიზეთის პრეზიდენტი ცუდად გახდა



ყირგიზეთის პრეზიდენტი ატამბაევი სტამბულში ცუდად გახდა. ეს მაშინ მოხდა, როცა ყირგიზული დელეგაცია გაეროს გენასამბლეის სხდომაზე მიემგზავრებოდა.

ატამბაევმა ასამბლეაზე გამგზავრება ველარ შეძლო.

# ქერი სირიაში ომის შეჩერებას ცდილობს



ნიუ-იორკში ერთმანეთს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ქერი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი შეხვდნენ.

ქერიმ თავის რუს კოლეგას განუცხადა, რომ ომი სირიაში რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეჩერდეს.

– ეს ჩვენი უმთავრესი მიზანია, – თქვა ქერიმ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა სასტიკად დაგმო ალეპოში გაეროს ჰუმანიტარული მისიის დაბომბვის ფაქტი. ლავროვმა ამას მხარი დაუჭირა, თუმცა აღნიშნა, რომ დაბომბვაში არც რუსეთის, არც ასადის შეიარაღებული ძალები არ მონაწილეობდნენ.

– აშშ ამაში ჩვენ გვადანაშაულებს. ამის გამო კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ, – განაცხადა ლავროვმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სამგლოვიარო განცხადებები

## მზია ტაბატაძე-ოქროჯანაშვილის ხსოვნას



შემოდგომის შემოსვლისას ერთი სულხორცით სავსე ქალის მზე ჩაესვენა.
ზეცას წავიდა სახელით გასხივოსნებული იმერელი ქალი.
ქალი და რა ქალი...
ერთი სახელი აქ დაგვიტოვა, მეორე თან წაიღო.
მზიას გულსა და სულში ზეციური მხურვალება იყო მოკიდებული მიწიერთან ერთად.
ამიტომაც იყო ძალიან მორწმუნე, ძალიან გულთბილი, ძალიან გულკეთილი, ძალიან მადლიანი. ამას ბევრი ვერ დაიკვეხნის.
მზე და მთვარე ორ შვილსა და ოთხ შვილიშვილზე ამოსდიოდა, თუმცა, სიყვარული არც სხვებისთვის დაუშურებია.
ცოლ-ქმარი ზეცაში დაწერილან. სიმონიც მისნაირია.
მზია სახელს ამართლებდა, სიმონი – გვარს. ორივენი ერთად კი ოქროსავით ძვირფასები არიან, თუმცა, მზიას ჯანმა უღალატა.
მწუხრის ჟამს ნაშიერთა თვალებში ცხარე ცრემლებმა გაიბრწყინა და ქალიშვილის ნინოს საუკუნო სიცოცხლის ლოცვით აღევლინა.
ქალბატონი მზია მზესავით ამოვიდა და ჩავიდა... მარადიული სასუფევლის ნათელში.

*მედეა მოსულიშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ხუთშაბათი 22 სექტემბერი**

**06.10, 14.10** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **07.10** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ჯვარცმის საიდუმლო" **08.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **08.10** ან/სერ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "დილის მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**მტირალა**" **14.50** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.35** "ეკიპაჟი" მე-**9** გადაცემა **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ყველაზე ჭუჭყიანი ადამიანი მსოფლიოში" **20.00** მოამბის სტუმარი **21.30** ტელეფილმი. "უაილდ ვესტის მხედრები" ალასანიას ყრილობა **22.15** "ვექტორი" **22.45** გადაცემა "x სტუდია" **23.45** მხ/ფ "**ბოლეინის კიდევ ერთი ასული**" **01.50** მხ/ფ "**მინდიხარ**"

**08.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **09.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ალის პირისპირ" **12.00** ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" **18.00, 21.00** "არჩევნები **2016**" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**ფარული მუქარა**" **01.45** მხ/ფ "**ჩე: ნაწილი მეორე**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **4 23.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** შეხვედრები რეგიონულ მედიასთან **13.30, 1.20** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**მაქს პეინი**" **2.15** ჯიდიპედია

**06.15** სჯანი "ბუდიზმი" **2** ნაწ. **06.40** პატერიკი-ლოცვა ეშმაკების განდევნისა **06.50** დოკ.ფილმი **07.25** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება "სოდომი და გომორი" **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" V ს. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** დეკორატიული ფლორა "აგლაუნემა კომუტატუმი" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** კონცერტი **17.05** საყმაწვილო ენციკლოპედია **17.35** ჩვენი ფონდი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ავტოკეფალური ეკლესიები III ნაწ. **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ "საწნახელი" **20.40** ძილი ნებისა "მულტ. კონცერტი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.45** ამბიონი-საცეცხლურით ჯვრის გადასახვა **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** თბილისის ტაძრები **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.00, 14.05 , 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი"თრილერი**" **21.40** "ღამის კონტაქტი" **23.10** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**22 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.3167 |
| ევრო | — 2.5866 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.0245 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.5714 |

## ამინდის პროგნოზი 22 სექტემბრისთვის





**23 სექტემბრიდან**



ილია ჭავჭავაძე

**კაცია-ადამიანი?!**

ფართოფორმატიანი, მაღალპოლიგრაფიული, დასურათებული გამოცემა

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## იუმორი

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება;

– ბიჭო, ამას წინათ კინაღამ დავიწვი...

– რა მოხდა?

– ცოლს კინაღამ საყვარლის სახელი დავუძახე.

– მერე?

– ავდექი და სახლში კატა მივიყვანე და საყვარლის სახელი დავარქვი.

– ჰოო!

– რა იყო, რა სახე შეგეცვალა?

– ამას წინათ ცოლმა სახლში ძაღლი მოიყვანა და მალხაზი დაარქვა...

•••

– სარკევ, სარკევ, მითხარი, ვინ არის ამ ქვეყნად ყველაზე ლამაზი?

– რა თქმა უნდა, შენ! მხოლოდ ეგ პისტოლეტი დადე...

•••

სტომატოლოგს სამსახურში მეგობარი ესტუმრა. სხედან, საუბრობენ. უცბად ტელეფონმა დარეკა, ექიმმა ყურმილი აიღო, მოუსმინა და მერე მეგობარს მიუბრუნდა:

– ცოლმა დამირეკა, სახლში მივირბენ და ნახევარ საათში დავბრუნდები. შენ აქ დამელოდე და არაფერი გააკეთო.

მეგობარი დაეთანხმა. ექიმის წასვლიდან ორ წუთში ასაკოვანი ქალი შემოვიდა, თითებზე ერთიანად ოქროს ბეჭდებასხმული, გულზე ოქროს ჯაჭვი, ოქროს სამაჯურები, სტომატოლოგიურ სავარძელში ჩაჯდა და ეუბნება:

– სასწრაფოდ კბილი ამომიღე და 500 დოლარს გაძლევ.

კაცმა იფიქრა, რაც იქნება იქნება, ამხელა ფულს სად ვიშოვიო და ხელი დაავლო კბილის ამოსაძრობ ინსტრუმენტს, ქალს გაღებულ პირში ჩაუყო და მთელი ძალით მოქაჩა. ქალმა დაიღრიალა, ხელები პირზე იტაცა და კაბინეტიდან გავარდა.

ხუთი წუთის შემდეგ დაწესებულებასთან მაგარი შავი ჯიპი გაჩერდა, იქიდან რამდენიმე მამაკაცი გადმოვიდა, ერთ-ერთი ყველაზე ახოვანი კაბინეტში შევარდა და იქ მყოფ მამაკაცს ეკითხება:

– შენ ხარ სტომატოლოგი?!

კაცმა გაიფიქრა, მორჩა, ჩემი საქმე წასულიაო და მხოლოდ თავის დაქნევა მოახერხა.

მოსულმა მაგიდაზე ასდოლარიანების შეკვრა დააგდო, ოქროს ჯაჭვი, საათი მოიხსნა, ისინიც მაგიდაზე დაყარა და ეკითხება:

– იცი, შენ ახლახან რა გააკეთე? იცი?

– ააა-რა.

– ჩემ სიდედრს ენა ამოგლიჯე!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



**22 სექტემბრიდან**

**საქართველოს გეოგრაფიული ატლასი**




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

**20 სექტემბრიდან**

ედიშერ ყიფიანი

**ტომი I**

წიგნი საკმაოდ სქელტანიანია, 560გვ. მასში შესულია მწერლის თითქმის ყველა მოთხრობა და რამდენიმე წერილი.




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

**27 სექტემბრიდან**

ედიშერ ყიფიანი

**ტომი II**

II ტომში შესულია მწერლის ორი რომანი: „წითელი ღრუბლები“ და „ცაში ასროლილი ქუდები“.

რომანებმა გამოქვეყნებისთანავე მკითხველის მოწონება დაიმსახურა და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა.




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## გიორგი ჭანტურიამ ურალში დუბლი შეასრულა



გიორგი ჭანტურიამ, რომელიც ამჟამად რუსეთის გუნდ ურალში ასპარეზობს, ჩელიაბინსკის წინააღმდეგ შეხვედრაში დუბლი შეასრულა და თავის კლუბს გამარჯვებაში დაეხმარა.

ეს მატჩი რუსეთის თასის 1/16 ფინალი იყო და ურალმა 3:0 მოიგო, ჭანტურიამ კი თითქმის მთელი თამაში მოედანზე დაჰყო.

პირველი გოლი ჭანტურიამ მე-15 წუთზე გაიტანა, ხოლო მეორედ თავი 50-ე წუთზე გამოიჩინა, როდესაც თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა.

ურალისთვის წლევანდელი სეზონი ცუდად დაიწყო და ჭანტურიას გუნდი რუსეთის ჩემპიონატში მე-14 ადგილს იკავებს, რაც გავარდნის ზონასთან ძალიან ახლოს არის.

## ბუსკეტსმა ბარსელონასთან კონტრაქტი გაახანგრძლივა



ბარსელონას საყრდენმა ნახევარმცველმა სერხიო ბუსკეტსმა კატალონიურ გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ის ბარსელონაში 2021 წლის სექტემბრამდე ითამაშებს. ბუსკეტსის გადაბირება წლევანდელ სატრანსფერო ბაზარზე ბევრ კლუბს სურდა, მაგრამ სერხიომ ბარსელონაში დარჩენა ამჯობინა.

ბუსკეტსი ბარსელონაში 2008 წლიდან თამაშობს და ამ წლების მანძილზე კატალონიურ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო.

ბუსკეტსის სატრანსფერო ფასი 200 მილიონი ევრო იქნება და გუნდს, რომელსაც მისი ყიდვის სურვილი ექნება, სწორედ ამ თანხის გადახდა მოუწევს.

## ვილაშ ბოაში შესაძლოა ვერდერს ჩაუდგეს სათავეში



ბრემენის ვერდერს ამჟამად საკმაოდ რთული პერიოდი აქვს. ბუნდესლიგაში ცუდი სტარტის გამო დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ვერდერის მთავარი მწვრთნელი ვიქტორ სკრიპნიკი.

ვერდერს დროებით მისი ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი უხელმძღვანელებს, მანამდე კი გერმანული კლუბის უფროსობა ახალი თავკაცის ძიებაშია.

ვერდერს სათავეში შესაძლოა პორტუგალიელი ანდრე ვილაშ ბოაში ჩაუდგეს, რომელიც ზენიტიდან წასვლის შემდეგ უმუშევარია.

ვილაშ ბოაშმა ინსტაგრამზე ატვირთა სურათი, სადაც ის გერმანულ ენას სწავლობს. ასე რომ, მისი ვერდერში მისვლა საკმაოდ რეალურია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## უმტიტიმ ტრავმა მიიღო



ბარსელონას ფრანგმა მცველმა სამუელ უმტიტიმ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, რის გამოც მან შესაძლოა ორი კვირა გამოტოვოს.

უმტიტის გამოკვლევები ჩაუტარდება, რის შემდეგაც დადგინდება, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა და რამდენი ხანი მოუწევს მას უქმად ყოფნა.

უმტიტი ბარსელონას ახალწვეულია და კატალონიურმა გუნდმა ის ზაფხულში ლიონიდან 25 მილიონად შეიძინა.

წლევანდელ სეზონში ფრანგმა მცველმა ბარსელონას მაისურით უკვე 5 შეხვედრა ჩაატარა.

## ვალენსია მწვრთნელის გარეშე დარჩა



ესპანური გუნდი ვალენსია მწვრთნელის გარეშე დარჩა. გუნდის ხელმძღვანელობამ პაკო აისტერანი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ვალენსიამ ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ მეოთხე შეხვედრა წააგო და 4 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ბოლო მე-20 პოზიციას იკავებს.

ვალენსია რობერტო მანჩინისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

აისტერანი ვალენსიაში შარშან, გარი ნევილის განთავისუფლების შემდეგ მივიდა, მაგრამ გუნდში ვითარების გამოსწორება ვერც მან შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 2. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 3. პატარა არია ოპერაში; 5. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. რაიონული ცენტრი გურიაში; 8. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 12. ძველ რომში მოხელე, რომელიც აწარმოებდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა მათ მიერ გადასახადების გადახდას; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. გია დანელიას კინოკომედია; 16. არწივის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ტელეგრაფით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 4. მიწაში ბინადარი ცხოველი; 7. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. წყალხმელეთა ცხოველი; 12. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 13. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 17. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 18. გემის უკანა ნაწილი; 19. ჩუქურთმა ანუ ....; 20. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების დაავადება.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილი**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი